ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/291223/9

ქ. თბილისი **29 დეკემბერი 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთი მხრივ, **სსიპ „შემოსავლების სამსახური“,** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ: 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი: 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ, **Identomat Inc** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის, დავით ლომიაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: აშშ, Dover, Delaware, 8 Green st, STE A, ტელეფონი: +14352137667, +995577171717, ელფოსტა: david@identomat.com, ს/კ: 20204194256, ბანკის დასახელება: Silicon Valley Bank, Swift/BIC კოდი: SVBKUS6S, ა/ნ: 3304111219, R/N: 121140399

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (**№ NAT230025943**) დისტანციური იდენტიფიკაციის მომსახურების (CPV-72310000 - მონაცემთა დამუშავება) შესყიდვის მიზნით და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **78`000.00 (სამოცდათვრამეტი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარად მიმწოდებლის მიერ გასაწევი ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული მომსახურების კონტროლს (ინსპექტირებას).

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან, ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა და ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. დისტანციური იდენტიფიკაციის მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების დანართი №1-ისა და ტექნიკური დავალების - დანართი №2-ის შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.3. მომსახურების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება აშშ დოლარში, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებულ მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.6. შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესრულებული მომსახურება.
7.1.7. მიმწოდებელი ვალდებულია არ დაუშვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ნებისმიერ სხვა პირზე გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდგომ.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორსმაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ნაკისრი ვალდებულებები იქნება შეუსრულებელი ან არ იქნება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებული და აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე განმეორდება არაერთგზის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას

ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. არაერთგზის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად განიხილება გამოვლენილი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის განმეორება.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების, ვადაგადაცილების ან შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან დარღვეული იქნება მე-7 მუხლის 7.1.7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით. ამასთანავე, აღნიშნული პუნქტის დარღვევით გამოწვეულ სრულ ზიანს აანაზღაურებს მიმწოდებელი.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“**	**„მიმწოდებელი“** **Identimat Inc**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.12.29 18:12:35 +04'00'	David Lomiashvili 01004005725 Digitally signed by David Lomiashvili Date: 2023.12.29 08:05:56
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**დავით ლომიაშვილი** დირექტორი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	მწარმოებელი/ბრენდი (არსებობის შემთხვევაში), წარმოშობის ქვეყანა	მომსახურების გაწევის პერიოდი	იდენტიფიცირებების რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**დისტანციური იდენტიფიკაციის სერვისი**	**დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემა "იდენტომატი" / Identomat. მწარმოებელი - Identomat Inc, აშშ. (ფასი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის -დღგ-ს)**	ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ არაუადრეს 2024 წლის 01 იანვრისა, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	**60,000.00**	1.30	**78000**
სულ ჯამი (ლარი)						**78000**

შენიშვნა: მომსახურების ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა ან განუფასებელი ფასების ცხრილის წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. სატენდერო წინადადების ფასში პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და გადასახადი.

პრეტენდენტის დასახელება _____ Identomat inc

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ დავით ლომიაშვილი, დირექტორი

David Lomiashvili 01004005725

Digitally signed by David Lomiashvili
Date: 2023.12.24 12:50:58

დისტანციური იდენტიფიკაციის სერვისი
„იდენტომატი“
Identomat Inc

ტექნიკური მოთხოვნა:

- დისტანციური იდენტიფიკაციის სერვისი „იდენტომატი“ ინტეგრირდება მობილურ აპლიკაციებში (IOS და Android) შესაბამისი SDK-ს მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მუშაობას მობილური მოწყობილობებიდან, რომლებიც აღჭურვილია IOS და Android ოპერაციული სისტემებით. საინტეგრაციო პაკეტი მოიცავსSDK-ს Android და iOS პლატფორმებისთვის;
- სისტემა „იდენტომატი“ მხარდაჭერილია სერვისი, ასევე, მხარდაჭერილია სხვადასხვა Web Browser- ით, ყველა ძირითად საოპერაციო სისტემაზე;
- სისტემა „იდენტომატი“ ადაპტირებულია საქართველოს მოქალაქის ID ბარათთან, საქართველოს მოქალაქის პასპორტთან და საქართველოს მართვის მოწმობასთან.
- სისტემას გააჩნია შესაძლებლობა მიიღოს და დაამუშავოს საქართველოს მოქალაქის და საქართველოში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის მონაცემები სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ავთენტიფიკაციის პარამეტრების გამოყენებით.

შემოწმების შედეგების მიწოდება:

1. OCR - დოკუმენტზე არსებული ინფორმაციის გაციფრულება, როგორც ვიზუალური ზონიდან, ასევე MRZ და QR code (არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში ამოკითხული ინფორმაციის დადარება ერთმანეთთან;
2. პიროვნების ფოტოსა და დოკუმენტზე არსებული ფოტოს დადარება ერთმანეთთან და ორ ფოტოს შორის მსგავსების განსაზღვრა იმის დასადგენად თუ რამდენად ერთი და იგივე ადამიანია გამოსახული;
3. პიროვნების ავთენტურობის (სიცოცხლიანობის ან liveness) შემოწმება და დადასტურება რეალურ დროში იმის დასადგენად, რომ კამერის მეორე მხარეს ნამდვილად ცოცხალი ადამიანია;
4. ვიდეო ზარი (ვიდეოვერიფიკაცია) შემსყიდველის ოპერატორის მონაწილეობით;
5. ვერიფიკაციის დეტალების (დოკუმენტის ფოტოები, პიროვნების ფოტო/ვიდეო/გიფ, შემოწმების შედეგების, ვერიფიკაციის ლოგიბის ჩანაწერების მოწოდება WEB API საშუალებით).

მომსახურება ეტაპები:

1. მომხმარებელი ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წესებს და პირობებს;
2. იდენტიფიკაციის პროცესში დოკუმენტის ფოტოს გადაღებისას დოკუმენტის ჯერ წინა, მერე უკანა მხარის ატვირთვა, პასპორტის შემთხვევაში მხოლოდ მთავარი გვერდის გადაღება;
3. დინამიური სელფის რეალურ დროში გადაღება;
4. ვიდეო ზარი (ვიდეოვერიფიკაცია) შემსყიდველი ორგანიზაციის ოპერატორის მონაწილეობით;

5. დოკუმენტზე დატანილი ფოტოსა და დინამიური სელფის დადარება მსგავსების დადგენის მიზნით; დოკუმენტის მონაცემების შემოწმება MRZ ზონის წაკითხვის მეშვეობით;
6. პიროვნების გადამოწმება სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში;
7. დოკუმენტის მონაცემების შემოწმება. დოკუმენტზე დატანებული ფოტოსა და დინამიური სელფის ფოტოს დადარება მსგავსების პროცენტულობის განსასაზღვრად;
8. ოპერატორის გვერდი, სადაც მოცემულია სესიების ჩამონათვალი, მათ შორის - თავად სესიის დეტალების ჩათვლით.

დადარების მიახლოებული მონაცემები:
დინამიურ სელფისა და დოკუმენტზე არსებულ ფოტოს შორის მსგავსების დადგენისას:
- 85%-ამდე - შედეგი უარყოფითია;
- 85% და მეტი - შედეგი დადებითია.

მოთხოვნები პრორამული უზრუნველყოფის მიმართ:
1. პროგრამული უზრუნველყოფის მიერ სიცოცხლიანობის შემოწმება ხდება ინდივიდუალურად, დითოეული მომხმარებლის შემთხვევაში. სიცოცხლიენობის შესამოწმებლად გამოიყენება შეთხვევიტობის პრინციპით გენერირებული დავალებები.
2. სისტემა მუშაობს დაბალი გარჩევადობის კამერების მეშვეობითაც, არანაკლებ 640 პიქსელი სიგანეში.
3. ფოტოგადაღება და დინამიური სელფის გადაღება ხდება ავტომატურად და არ ითხოვს მომხმარებლისგან დამატებით ინტერაქციას.
4. სისტემაში უზრუნველყოფილია სესიის გადართვა უკამერო მოწყობილობიდან კამერიან მოწყობილობაზე, ერთი სესიის ფარგლებში.
5. სისტემას გააჩნია ვიდეოზარის მეშვეობით იდენტიფიკაციის ფუნქციონალი, შემსყიფველი ორგანიზაციის ოპერატორის მონაწილეობით. უზრუნველყოფილია ვიდეოზარის სესიის ჩაწერა.
6. სისტემას გააჩნია დემონსტრირებული შესაძლებლობა იფუნქციონიროს ყველა გავრცელებულ საოპერაციო სისტემაზე (Windows, macOS, GNU/Linux, Android, iOSდა ა.შ.).

საგარანტიო მომსახურება და ვადა:
1. სისტემა „იდენტომატ“-ის გამართული ფუნქციონირება, მიმდინარე მხარდაჭერა და ხარვეზების აღმოფხვრა უზრუნველყოფილია მიმდინარე რეჟიმში.
2. Identomat Inc უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას სამუშაო საათების განმავლობაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის ფუნქციონირებას შეექმნა პრობლემა და ვერ ხორციელდება იდენტიფიკაციის პროცესი, Identomat Inc იღებს პასუხისმგებლობას, უმოკლეს ვადაში (არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა) უზრუნველყოს პრობლემის მოგვარება და ასევე სისტემის მოხმარებასთან და ინტეგრაციასთან არსებულ საკითხებზე მოახდინოს რეაგირება.
4. სისტემის ფუნქციონირებასთან და შემსყივდელთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ შეტყობინებებს Identomat Inc შეტყობინებებს მიიღებს ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.

მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ:

1. სისტემა „იდენტომატის“ ფუნქციონალის დამუშავება, განვითარება და განახლება მიმდინარეობს რეგულარულად, განგრძობადი დეველოპმენტის (continuous development) პრინციპის შესაბამისად.
2. მომსახურების გაწევის ვადის განმავლობაში, Identomat Inc განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ ცვლილებებს სისტემა „იდენტომატ“-ში.
3. ტექნიკური პერსონალი რეგულარულად გადის ტრეინინგებს სხვადასხვა რელევანტური მიმართულებით.
4. Identomat Inc-ში დანერგილია მონაცემთა დაცვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები საუკეთესო საერტაშორის სტანდარტების შესაბამისი ინფორმაცული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და პროცედურების სახით.
    a. კამერიდან მიღებული ინფორმაცია ბრაუზერშივე იფუთება და მოჭრილი ვიდეო ჩანაწერის სახით, SSL-ით დაშიფრული იგზავნება სერვერთან;
    b. ფოტოსურათის დადარების პროცესში ან სხვა ყველა სხვა ოპერაციის შესასრულებლად, იდენტომატი არ არის დამოკიდებული და არ ეყრდნობა რომელიმე მესამე მხარის მიერ მოწოდებულ სერვისს, როგორებიცაა: Amazon AWS, Google და Microsoft Azure. დამუშავებული მონაცემები არ სცდება რეიზომატისთვის განკუთვნილ სერვერულ ინფრასტრუქტურას, რაც იძლევა მონაცემების უსაფრთხოების მაღალ გარანტიებს.
    c. იდენტომატის არცერთი პერსონალური, თუ საჯარო მონაცემი ინტერნეტში არ მოძრაობს HTTPS/SSL შიფრაციის გარეშე. მასერთიფიცირებელი ავტორიტეტად გამოიყენება Letsencrypt.
    d. დადარების პროგრამული უზრუნველყოფა შემუშავებულია რეიზომატის მიერ, deep learning მეთოდით. სისტემის ბენჩმარკად განსაზღრვული FMR 1/10000 საშუალებას იძლევა მსგავსება დადგინდეს უმაღლესი შესაძლო სტანდარტით.
    e. სისტემის უსაფრთხოების სისუსტეების გამოვლენის მიზნით, პროდუქტზე პერიოდულად ხორციელდება პროფესიონალური შეღწევადობის ტესტირება (Penetration Testing).
    f. კომპანიის მენეჯმენტს წამყვანი როლი აკისრია ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვაში და დანერგილია კომპლექსური მიდგომა - ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები ასახულია კომპანიის პოლიტიკებსა და პროცესებში.
    g. ორგანიზაციაში მოქმედებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის მიზანია: ა) განსაზღვროს კომპანიაში ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპები და ძირითადი მიმართულებები; ბ) უზრუნველყოს ინფორმაციას კონფიდენციალობა, დაცულობა და ხელმისაწვდომობა; ბ) კომპანიაში ჩამოაყალიბოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის თანამედროვე და ადექვატური სისტემა;
    h. კომპანიაში განსაზღვრულია და მოქმედებს ინფორმაციის კლასიფიკაციის პოლიტიკა, რაც გულისხმობს, რომ ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება და მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე შეიძლება მიუწვდებოდეს ხელი კომპანიის თანამშრომელს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეს სამსახურებრივად ესაჭიროება;

i. კომპანიაში დანერგილია ინცინდენტების იდენტიფიკაციის, შეტყობინებისა და რეაგირების მექანიზმი;
j. ვინაიდან „იდენტომატის“ მეშვეობით დამუშავებული ინფორმაცია მხოლოდ ელექტრონულ ფორმატშია, მოქმედებს მონაცემებთან დაკავშირებული ქმედებების აღრიცხვის (ლოგირების) მექანიზმი.

David Lomiashvili 01004005725

Digitally signed by David Lomiashvili
Date: 2023.12.24 12:49:41